შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ წლიური ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

(2024 წლის 10 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე)

შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ (შემდგომში - „კომპანია“) წარმოგიდგენთ 2025 წლის ანგარიშს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, კომპანიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 5 (ხუთი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე კომპანიაში მოთხოვნა არ შემოსულა. კომპანიის მიერ გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა.

ბ) კომპანიის მიერ დაკმაყოფილდა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. კომპანიის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირები არიან: კომპანიის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, გვანცა ბარბაქაძე და იურისტი - ხათუნა თედორაძე;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა;

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, კომპანიაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა;

ე) კომპანიას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები;

ვ) საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ კომპანიას გადაწყვეტილება არ მიუღია და შესაბამისად, გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები კომპანიას არ ჰქონია.

პატივისცემით,

Vakhtang Nozadze

Digitally signed by Vakhtang Nozadze
Date: 2025.12.10 10:31:16 +04'00'